შეთანხმება

ზუგდიდის მუნიციპალიტეტსა და შპს „ჰიდრომშენი XXI“ შორის 2014 წლის 06 ივნისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №241 ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანაზე

17/241
01 08 14
2

ქ. ზუგდიდი *01 აგვისტო, 2014 წელი*

ერთის მხრივ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი“), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის ედიშერ თოლორაიას სახით და მეორეს მხრივ, შპს „ჰიდრომშენ XXI“ (შემდგომში „მიმწოდებელი“), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, დირექტორის დავით კუკავას მინდობილი პირის დავით კუკავას (24.07.2014 წლის №140778098 მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში) სახით ვთანხმდებით შემდეგზე:

1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“–ს შესახებ და „მუნიციპალიტეტების გაყოფისა და თვითმმართველი თემების მუნიციპალიტეტეტების შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 მარტის №515 განკარგულების საფუძველზე, „მუნიციპალიტეტებს შორის ქონებისა და ვალდებულებების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №363 დადგენილების შესაბამისად, ზუგდიდის ახალი მუნიციპალიტეტისთვის გაუქმებული მუნიციპალიტეტის მიერ აღებული ვალდებულებების გადანაწილებასთან დაკავშირებით, უფლებამონაცვლე ახალი მუნიციპალიტეტის დასახელების, ხელმოწერეზე უფლებამოსილი პირის, საგადასახადო და საბანკო რეკვიზიტების გათვალისწინებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტსა და შპს „ჰიდრომშენ XXI“-ს შორის 2014 წლის 06 ივნისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №241 ხელშეკრულებაში (შემდგომში „ხელშეკრულება“) შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები:

ა) შეიცვალოს ხელშეკრულების პრეამბულა და ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმულირებით:

- ერთის მხრივ, *ზუგდიდის მუნიციპალიტეტი* (შემდგომში „შემსყიდველი“), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის ედიშერ თოლორაიას სახით და მეორეს მხრივ, *შპს „ჰიდრომშენი XXI“* (შემდგომში „მიმწოდებელი“), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, დირექტორის დავით კუკავას მინდობილი პირის დავით კუკავას (24.07.2014 წლის №140778098 მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში) სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში „ხელშეკრულება“) შემდეგზე.

ბ) შეიცვალოს ხელშეკრულების მე-17 მუხლის 17.2 პუნქტში მოცემული ინსპექტირების ჯგუფის წევრთა შემადგენლობა და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- *პუნქტი 17.2* – ხელშეკრულების კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის მიერ გამოყოფილი სპეციალური ინსპექტირების ჯგუფი, შემდეგი შემადგენლობით: – ვლადიმერ გვილია -

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის მშენებლობის სამსახურის ინსპექტირების განყოფილების უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი; - მურმან ბოკუჩავა - მშენებლობის სამსახურის ინსპექტირების განყოფილების მთავარი სპეციალისტის დროებით მოვალეობის შემსრულებელი; - ლეონტი ფაჟავა - მშენებლობის სამსახურის ინსპექტირების განყოფილების წამყვანი სპეციალისტის დროებით მოვალეობის შემსრულებელი.

გ) ხელშეკრულებაში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის რეკვიზიტები ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა, იურიდიული მისამართი: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №90, საიდენტიფიკაციო ნომერი: 220416967, მომსახურე ბანკის დასახელება: სს „ლიბერთი ბანკი," საბანკო ანგარიშის ნომერი: GE13LB0120111405438000, ბანკის კოდი: LBRTGE22.

2. ხელშეკრულების დანარჩენი პუნქტები და დებულებები უცვლელია და მხარეები ადასტურებენ მათ მიმართ თავიანთ ვალდებულებებს, ისევე როგორც ხელშეკრულების მიმართ.
3. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია 4 (ოთხი) თანაბარუფლებიანი ძალის მქონე ეგზემპლარად, 3 (სამი) ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან," ხოლო 1 (ერთი) ეგზემპლარი გადაეცემა „მიმწოდებელს."
4. შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	*შპს „ჰიდრომშენი XXI"*
იურიდიული და ფაქტიური მისამართი: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №90	იურიდიული და ფაქტიური მისამართი: ქ. ზუგდიდი, კოსტავას ქ. №7/13
საინდენტიფიკაციო კოდი: ***220416967***	საიდენტიფიკაციო კოდი: **220370131**
საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი"	საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი"-ს სამეგრელოს რეგიონალური ფილიალი
ბანკის კოდი: LBRTGE22	ბანკის კოდი: LBRTGE22
ანგარიშის ნომერი: GE13LB0120111405438000	ანგარიშის ნომერ: GE03LB0610006436080405
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელი:	*შპს „ჰიდრომშენი XXI" დირექტორის მინდობილი პირი:*
..... /ე. თოლორაია/	..... /დ. კუკავა/

საქართველო

ორიათას თოთხმეტი წლის ოცდაოთხ ივლისს მე, ნოტარიუსს ნინო შელიას, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ზუგდიდი, კოსტავას ქ.№54 -ში, მომმართა **დავით კუკავამ რომელმაც განაცხადა, რომ დავით კუკავას ავადმყოფობის გამო არ შეუძლია ნოტარიუსთან გამოცხადება და ითხოვს მის ვიზიტს საცხოვრებელ მისამართზე ზუგდიდი,დარჩელი** .ამავე დროს ავადმყოფობის გამო არის წერა-კითხვის უნარშეზღუდული და სურს შეადგინოს მინდობილობა, რომლითაც შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს **დავით კუკავას , მის ნაცვლად ხელს მოაწერს ნანა ბუკია ,ხოლო მოწმედ წარმოადგინა ხარიტონ მამფორია.** მე, დავადგინე მათი პირადობა და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **1. დავით კუკავამ** (დაბადებული 15.05.1947 **პირადი №19001031080პ/მ ა1134325** რეგ. მისამართი ზუგდიდი სოფ დარჩელი) **2. ნანა ბუკიამ** (დაბ. 25.10.1981, პ/მ № ვ0468285 პირადი №62001006928 რეგ მისამართი სოხუმი **ბზიფის გზატ. N 15)** და **ხარიტონ მამფორიამ** (დაბადებული 11.05.1957. პირადი №19001015433 პ/მ №ა0370375 , **მისამართი ზუგდიდი ლაზის ქ N 77) მომმართეს.** მე, დავადგინე მათი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ მე ნოტარიუსმა ნინო შელიამ წავუკითხე **დავით კუკავას** მინდობილობის ტექსტი.მან განაცხადა, რომ მინდობილობა შეესაბამება მის ნებას და სთხოვა ნანა ბუკიას მოეწერა მის ნაცვლად ხელი. შემდეგ ნანა ბუკიამ და ხარიტონ მამფორიამ ჩემი თანდასწრებით მოაწერეს ხელი მინდობილობას, რასაც ვადასტურებ.

მინდობილობა

ორიათას თოთხმეტი წლის ოცდაოთხ ივლისს მე, **დავით კუკავა** (დაბადებული 15.05.1947 პირადი **№19001031080პ/მ ა1134325 რეგ.** მისამართი **ზუგდიდი სოფ დარჩელი)** შპს **„ჰიდროენერგეტიკა XXI"-ის დირექტორი** შემდგომში „მიმნდობი„ წინამდებარე მინდობილობით დავით კუკავას **(დაბადებულს 05.01.1984 წ. პირადი №62001025056 პ/მ №131A78906** რეგ მისამართი **სოხუმი ბზიფის გზატ. N 15 ბ. 8)** ვანდობ მართოს და განკარგოს შპს "ჰიდროენერგეტიკა XXI " (ს/ნ 220370131.) იყოს ჩემი სრულუფლებიანი და შეუზღუდავი წარმომადგენელი ნებისმიერ სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებაში, შემოსავლების სამსახურში, იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ ნებისმიერ სამსახურში, გადაიხადოს ნებისმიერი სახის გადასახადი, წარმოადგინოს შპს "ჰიდროენერგეტიკა XXI" ის ინტერესები,მართოს და განკარგოს სს „ლიბერთი ბანკში" და ნებისმიერ სხვა საბანკო დაწესებულებაში შპს-ს სახელზე არსებული საბანკო ანგარიშები, შეასრულოს ნებისმიერი სახის საბანკო ოპერაცია თანხის გადარიცხვის, გამოტანა-შეტანის, ამონაწერის მიღების უფლებით. შპს-ს სახელზე გახსნას და დახუროს საბანკო ანგარიშები.დადოს ნებისმიერი სახის გარიგება თუ ხელშეკრულება შპს "ჰიდროენერგეტიკა XXI"-ის სახელით.შეიტანოს მასში ცვლილება,გააუქმოს და შეასრულოს შპს- "ჰიდროენერგეტიკა XXI"-ის მიერ დღემდე ნაკისრი ვალდებულებები. გააკეთოს ნებისმიერი სახის განცხადება, გამოითხოვოს ყველა სახის დოკუმენტი და განახორციელოს ყველა მოქმედება რაც უკავშირდება ამ დავალების შესრულებას.

ჩემი სახელით შეიტანოს განცხადება ჩემთვის ინვალიდობის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით.ხელი მოაწეროს ნებისმიერი სახის განცხადებას,თუ დოკუმენტს.შეასრულოს ყველა მოქმედება რაც პირდაპირ თუ არაპირდაპირ უკავშირდება ამ მინდობილობის შესრულებას და არ არის მასში მითითებული.

მინდობილობა გაცემულია სამი წლის ვადით და შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო ბიუროში ორი გადაეცა მიმნდობილ პირს.

ხელმოწერა: 1. ნანა ბუკია

2. ხარიტონ მამფორია

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური – 10.00 ლარი (თანახმად 31.7 -ე მუხლისა)+ გასვლის საფასური 8 ლარი+სარეგისტრაციო საზღაური 2 ლარი თანახმად სულ 20 ლარი(საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №507, „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის ნოტარიუსის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" მუხლების შესაბამისად.

ნოტარიუსი: ნინო შელია

GEORGIA. NOTARY ... SHELIA * НОТАРИУС НИНО ШЕЛИЯ * 51001013882 *